ო ქ მ ი N5

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი

2022 წლის 9 სექტემბერი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონ კუკავა

3.აკაკი ხურცილავა

4.აკაკი მალანია

5.ბადრი რიჟამაძე

6.ჯანსუღ ჯიშკარიანი

7.მოგელი ხუხია

8.გურიელ ქარდავა

9.მალხაზ იოსავა

10.ბექა ხარბედია

(სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე)

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 26 აგვისტოს N 50-502223836 და 31 აგვისტოს N 50-502224368 წერილის განხილვა;

= „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

= „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

2.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 1 სექტემბრის N 50-502224433 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 26 აგვისტოს N 50-502223836 წერილი

„ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ოხვამეკარში არსებული წყლის სისტემა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მიერ ჩაუტარდა რეაბილიტაცია და 2022 წლის 15 თებერვლიდან შესულია ექსპლუატაციაში. მერიის მხრიდან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მაგისტრალის მოვლა-პატრონობის მიზნით, მისი თხოვების ფორმით, არსებობის ვადით, შპს „ხობის წყალმომარაგებისთვის“ გადაცემა, რაზედაც მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიის წევრებს მიმართა თხოვნით, გამოეთქვათ ამ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

2 „ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 31 აგვისტოს N 502224368 წერილის განხილვა ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 31 აგვისტოს N 50 -2502224368 წერილი

„ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტი.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მიმდინარე წელს განხორციელდა ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სკვერის რეაბილიტაცია, რის შედეგადაც მიღებული იქნა 50 კვმ შერეული ფორმის მეორადი ბაზალტის ფილები, რაზედაც მერიის მხრიდან წარმოდგენილია აუდიტორული დასკვნა. დასკვნის საფუძველზე მერიის მხრიდან წარმოდგენილია წინადადება ზემო აღნიშნული ფილების აუქციონის წესით პრივატიზების თაობაზე, რადგან მათი განმართებით ფილები თითქმის გამოუსადეგარია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიის წევრებს მიმართა, თხოვნით, გამოეთქვათ ამ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭის ყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

3.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 1 სექტემბრის N 502224433წერილის განხილვა „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022წლის 1 სექტემბრის N 50-502224433 წერილი

„ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონება, ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლი, რეაბილიტირებულ იქნა ა(ა)იპ „ასოციაცია ატუს“ მიერ და კეთილმოწყობილ იქნა მიმდებარე ტერიტორია. მერიის მხრიდან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული ქონება (ს/კ 45.17.21.394) სარგებლობის უფლებით არსებობის ვადით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, გადაეცეს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ - საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრს“ რაზედაც მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიის წევრებს მიმართა თხოვნით, გამოეთქვათ ამ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე: /ვლადიმერ ქანთარია/